

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„სერვის 1“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2023

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის 1“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დაპტიცევაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-17
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები..	13
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები.....	13
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები.....	14
შენიშვნა 8. მომსახურების ხარჯები	14
შენიშვნა 9. ფინანსური ხარჯები.....	14
შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები.....	15
შენიშვნა 12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	15
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	16
შენიშვნა 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	17
შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 18. სს ფასს-ზე გადასვლა	17
შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის 1“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სერვის 1“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაია

დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო

თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სერვის 1"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2022	31,12,2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	22627	23937
არამატერიალური აქტივები	11	1181	1389
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		23 807	25 326
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	747498	655090
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	199145	239056
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	207088	279801
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0
სულ მიმდინარე აქტივები		1 153 731	1 173 946
სულ აქტივები:		1 177 538	1 199 272
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		1128192	1078260
რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1 130 192	1 080 260
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	46193	117256
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		1153	1756
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		47 346	119 012
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 177 538	1 199 272

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " სერვის 1 "

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2022	31,12,2021
ამონაგები	5	589880	535356
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(287 201)	(238 438)
საწყისი ნაშტი		(655 090)	(644 262)
შემენილი ნედლეული და მასალები		(379 609)	(249 266)
საბოლოო ნაშტი		747498	655090
საოპერაციო მოგება		302 679	296 918
სხვა შემოსავლები	6	94675	73021
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(120 602)	(136 529)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(5 086)	(5 987)
მომსახურების ხარჯები	8	(3 462)	(1 869)
კომუნალური ხარჯები		(1 296)	(2 029)
სხვა ხარჯები	7	(25 259)	(24 593)
ფინანსური ხარჯები	9	(123 120)	(92 966)
მოგება დაბეგვრამდე		118 529	105 968
მოგების გადასახადი		(176)	-
საანგარიშო წლის მოგება		118 353	105 968

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " სერვის 1"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.დეკ.20	2 000	1 260 082	1 262 082
გაცემული დივიდენდები	0	(287 789)	(287 789)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	0	105 968	105967,53
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება	0	0	-
31.დეკ.21	2 000	1 078 260	1 080 260
გაცემული დივიდენდები	0	(68 421)	(68 421)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	0	118 353	118352,53
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება	0	0	-
31.დეკ.22	2 000	1 128 192	1 130 192

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " სერვის 1"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	646 971	902 132
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(557 297)	(506 995)
გადახდილი გადასახადები	(70 002)	(128 712)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	19 672	266 425
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავლები	13 025	-
გაცემული დივიდენდები	(65 000)	(273 400)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი	(40 410)	(13 287)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(92 385)	(286 687)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(72 713)	(20 262)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	279 801	300 063
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	207 088	279 801

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვის 1“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართია ქ.თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი ჭავჭავაძის გამზირი N56 ბინა 21 ხოლო ფაქტობრივი თბილისი დიდშის მასივი 4 კვარტ. კორპუსი 25 მიმდებარედ, საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი: ბართლომე პატარაია -100% მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო ტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2022	31.12.2021
ტექ.მონტაჟის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი (მომსახურება)	109650	118995
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	480230	415344
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	0	1017
ჯამი	589880	535356

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	81649	68458
სხვა შემოსავალი	0	4562
საბანკო ანგარიშებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	13025	0
ჯამი	94675	73021

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
საპენსიო დანარიცხების ხარჯი	1000	1197
საიჯარო ქირა	16981	15019
ბანკის საკომისიო	1176	829
მივლინების ხარჯები	1240	687
საკანცელარიო ხარჯები	181	131
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახდი)	504	553
ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	1411	1048
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებების ხარჯი	2032	0
სხვა საერთო ხარჯი	734	5131
ჯამი	25259	24593

შენიშვნა 8. მომსახურების ხარჯი	31.12.2022	31.12.2021
სატენდერო მომსახურების ხარჯი	350	155,5
დაზღვევის მომსახურების ხარჯი	1903	660
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	1210	1053
ჯამი	3462	1869

შენიშვნა 9. ფინანსური ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
ჯარიმები და საურავები სხვა	60	9962
დახმარება (უკრაინელ ხალხზე)	1000	0
უარყოფითი საკურსო სხვაობის ხარჯი	122060	83004
ჯამი	123120	92966

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020
მანქანა დანადგარები	6286	0	1571	7857	0	1964	9821
ოფისის აღჭურვილობა	7004	3680	1085	4409	1058	860	4210
ავეჯი და სხვა ინვენტარი	705	0	176	881	0	220	1101
სატრანსპორტო საშუალებები	8633	0	2158	10791	0	2698	13488
სულ ძირითადი საშუალებები	22 627	3 680	4 990	23 937	1 058	5 742	28 620

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის

რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო

(ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-ღებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაციდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020
პროგრამული უზრუნველყოფა	1181	0	208	1389	1362	1607	1634
სულ არამატერიალური აქტივი	1 181	-	208	1 389	1 362	1 607	1 634

შენიშვნა 12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	702099	608354
ნედლეული და მასალები	3111	471
დაუმთავრებელი წარმოება	41924	45868
შუალედური ანგარიში	0	0
მზა პროდუქცია	364	397
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	747 498	655 090
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	287201	238438

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	140 995	162 517
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	58 116	76 505
საპაჟოზე გადახდილი ავანსები	33	33
ჯამი	199 145	239 056

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	422	261
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	57 864	22 564
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	148 802	256 976
ჯამი	207 088	279 801

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1 116	1 680
მიღებული ავანსები	44 949	115 448
გადასახდელი ხელფასები	2	2
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	127	127
ჯამი	46193	117256

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიას რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები არ განუხორციელებია

შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა

2022 წ
30062

2021 წ
35625

მშენიშვნა 18. სს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან.

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარია
დირექტორი

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„სერვის 1“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.თბილისი

2023

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის 1“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-17
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები..	13
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები.....	13
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები.....	14
შენიშვნა 8. მომსახურების ხარჯები	14
შენიშვნა 9. ფინანსური ხარჯები.....	14
შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები.....	15
შენიშვნა 12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	15
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	16
შენიშვნა 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	17
შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 18. სს ფასს-ზე გადასვლა	17
შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სერვის 1“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სერვის 1“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარია

დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო

თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სერვის 1"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2022	31,12,2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	22627	23937
არამატერიალური აქტივები	11	1181	1389
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		23 807	25 326
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	12	747498	655090
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	199145	239056
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	14	207088	279801
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0
სულ მიმდინარე აქტივები		1 153 731	1 173 946
სულ აქტივები:		1 177 538	1 199 272
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2000	2000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		1128192	1078260
რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		1 130 192	1 080 260
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	46193	117256
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		1153	1756
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		47 346	119 012
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 177 538	1 199 272

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაი
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სერვის 1"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2022	31,12,2021
ამონაგები	5	589880	535356
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(287 201)	(238 438)
საწყისი ნაშტი		(655 090)	(644 262)
შემენილი ნედლეული და მასალები		(379 609)	(249 266)
საბოლოო ნაშტი		747498	655090
საოპერაციო მოგება		302 679	296 918
სხვა შემოსავლები	6	94675	73021
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(120 602)	(136 529)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(5 086)	(5 987)
მომსახურების ხარჯები	8	(3 462)	(1 869)
კომუნალური ხარჯები		(1 296)	(2 029)
სხვა ხარჯები	7	(25 259)	(24 593)
ფინანსური ხარჯები	9	(123 120)	(92 966)
მოგება დაბეგვრამდე		118 529	105 968
მოგების გადასახადი		(176)	-
საანგარიშო წლის მოგება		118 353	105 968

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სერვის 1"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.დეკ.20	2 000	1 260 082	1 262 082
გაცემული დივიდენდები	0	(287 789)	(287 789)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	0	105 968	105 968
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება	0	0	-
31.დეკ.21	2 000	1 078 260	1 080 260
გაცემული დივიდენდები	0	(68 421)	(68 421)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	0	118 353	118 353
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება	0	0	-
31.დეკ.22	2 000	1 128 192	1 130 192

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "სერვის 1"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	646 971	902 132
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(557 297)	(506 995)
გადახდილი გადასახადები	(70 002)	(128 712)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	19 672	266 425
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავლები	13 025	-
გაცემული დივიდენდები	(65 000)	(273 400)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ზარჯი	(40 410)	(13 287)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(92 385)	(286 687)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	(72 713)	(20 262)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	279 801	300 063
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	207 088	279 801

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვის 1“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართია ქ.თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი ჭავჭავაძის გამზირი N56 ბინა 21 ხოლო ფაქტობრივი თბილისი დიდმის მასივი 4 კვარტ. კორპუსი 25 მიმდებარედ, საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი: ბართლომე პატარაია -100% მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა ელექტრო ტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბართლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები


არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლელა რევაზაშვილი
ბუღალტერი

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2022	31.12.2021
ტექ.მონტაჟის სამუშაოებიდან მიღებული შემოსავალი (მომსახურება)	109650	118995
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	480230	415344
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	0	1017
ჯამი	589880	535356

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2022	31.12.2021
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	81649	68458
სხვა შემოსავალი	0	4562
საბანკო ანგარიშებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლები	13025	0
ჯამი	94675	73021

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
საპენსიო დანარიცხების ხარჯი	1000	1197
საიჯარო ქირა	16981	15019
ბანკის საკომისიო	1176	829
მივლინების ხარჯები	1240	687
საკანცელარიო ხარჯები	181	131
საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახდი)	504	553
ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	1411	1048
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებების ხარჯი	2032	0
სხვა საერთო ხარჯი	734	5131
ჯამი	25259	24593

შენიშვნა 8. მომსახურების ხარჯი	31.12.2022	31.12.2021
სატენდერო მომსახურების ხარჯი	350	155,5
დაზღვევის მომსახურების ხარჯი	1903	660
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	1210	1053
ჯამი	3462	1869

შენიშვნა 9. ფინანსური ხარჯები	31.12.2022	31.12.2021
ჯარიმები და საურავები სხვა	60	9962
დახმარება (უკრაინელ ხალხზე)	1000	0
უარყოფითი საკურსო სხვაობის ხარჯი	122060	83004
ჯამი	123120	92966

შენიშვნა 10. ძირითადი საშუალებები	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020
მანქანა დანადგარები	6286	0	1571	7857	0	1964	9821
ოფისის აღჭურვილობა	7004	3680	1085	4409	1058	860	4210
ავეჯი და სხვა ინვენტარი	705	0	176	881	0	220	1101
სატრანსპორტო საშუალებები	8633	0	2158	10791	0	2698	13488
სულ ძირითადი საშუალებები	22 627	3 680	4 990	23 937	1 058	5 742	28 620

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო

(ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და

სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაციდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 11. არამატერიალური აქტივები	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021	შემოსვლა	გასვლა	31.12.2020
პროგრამული უზრუნველყოფა	1181	0	208	1389	1362	1607	1634
სულ არამატერიალური აქტივი	1 131	-	208	1 389	1 362	1 607	1 634

შენიშვნა 12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	702099	608354
ნედლეული და მასალები	3111	471
დაუმთავრებელი წარმოება	41924	45868
შუალედური ანგარიში	0	0
მზა პროდუქცია	364	397
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	747 498	655 090
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	287201	238438

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	140 995	162 517
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	58 116	76 505
საპაჟოზე გადახდილი ავანსები	33	33
ჯამი	199 145	239 056

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	422	261
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	57 864	22 564
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	148 802	256 976
ჯამი	207 088	279 801

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2022	31.12.2021
მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	1 116	1 680
მიღებული ავანსები	44 949	115 448
გადასახდელი ხელფასები	2	2
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	127	127
ჯამი	46193	117256

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათლომე პატარაია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო



ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიას რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები არ განუხორციელებია

შენიშვნა 17. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა

2022 წ.
30062

2021 წ.
35625

შენიშვნა 18. სს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან.

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 25 აგვისტოს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ბათოლომე პატარია
დირექტორი

2023 წლის 25 აგვისტო
თბილისი, საქართველო

ლენა რევაზაშვილი
ბუღალტერი

8-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.